ხელშეკრულება № 57
(დარბაზის ქირავნობის შესახებ)

ქ. გორი 09 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ შუღლიაშვილის სახით (შემდგომში – გამქირავებელი) და მეორეს მხრივ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი დაწესებულება №3-ე ბაგა-ბაღი (ს/კ: 218078407) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ილურიძის სახით (შემდგომში - დამქირავებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ქირავნობის საგანი: 2016 წლის 23 ივნისს 12:00 საათიდან 13:00 საათამდე ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მცირე დარბაზის, ხოლო 2016 წლის 30 ივნისს 12:00 საათიდან 13:00 საათამდე დიდი საკონცერტო დაბაზის ქირავნობა ბაგა-ბაღის გამოსაშვები ჯგუფების კონცერტის ჩასატარებლად.

2. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

2.1. ქირავნობის ფასი შეადგენს - 500 (ხუთასი) ლარს.

2.2. „გამქირავებლის“ მიმართ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის საბანკო ანგარიშზე დარიცხვით.

2.3. CPV კოდი 79900000 -500 ლარი

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. დამქირავებელი ვალდებულია:

3.2. „დამქირავებლის მიერ ღონისძიებაზე (კონცერტზე) მოწვეული მაყურებელის (მოსაწვევით ან ბილეთით) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დიდ საკონცერტო დარბაზში არსებულ ადგილების (630 სკამი), მცირე დარბაზში არსებულ ადგილების (120 სკამი) რაოდენობას.

3.3. ორგანიზება და კონტროლი გაუწიოს ღონისძიების (კონცერტის) წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. მუხლში მითითებულ დროში დაწყებასა და დამთავრებას.

3.4. ღონისძიების (კონცერტის) მსვლელობის დროს გაუფრთხილდეს საგრიმიორო ოთახში, სცენაზე და კულისებში არსებულ ქონებას;

3.5. ისარგებლოს ქირავნობის საგნით ხელშეკრულებით განსაზღვრული დროით;

3.6. გამქირავებელი ვალდებულია:

3.7. ღონისძიების (კონცერტის) ჩასატარებლად შექმნას ხელსაყრელი პირობები, კერძოდ: უზრუნველჰყოს დამქირავებლი საკონცერტო დარბაზის მომსახურებით (სცენის, კულისების, საგრიმიორო და გასახდელი ოთახების გამოყობა შესაბამისი გათბობითა და განათებით, მანდატურების მეშვეობით უზრუნველყოს ღონისძიების (კონცერტის) მსვლეობისას დარბაზში და კულისებში წესრიგის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში თავის აპარატურით მოახდინოს ღონისძიების (კონცერტის) მუსიკალური გაფორმება და სხვა).

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

4.1. მხარეების მიერ ხელკშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება

პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5% - ის ოდენობით

4.3 ხელშეკრულების 1.1. მუხლში ღონისძიების (სპექტაკლის) მსვლელობისთვის გამოყოფილი დროის გადამეტების შემთხვევაში, „დამქირავებლის“ მიერ ანგარიშწორება ავტომატურად მოხდება ა(ა)იპ გორის თვითმმართველი ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული დიდი და მცირე საკონცერტო დარბაზების დროებით სარგებლობის უფლებით გადაცემის „წესის“ მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით გადაცდენილი დროის შესაბამისად.

4.4. ქირავნობის საგნის დაზიანების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში “დამქირავებელი” ვალდებულია მოახდინოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და გადაიხადოს დაზიანებული ქონების სრული საბაზრო ღირებულების ოდენობა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება მოხდეს წინასწარ, ან ღონისძიების ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები არ არიანი პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური შემთხვევები.

6.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

6.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლად აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სხვა პირობები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები

გამქირავებელი	დამქირავებელი
ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი ს/კ 417883035 მის.: გორი, მშვიდობის გამზ. №12ა ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბ/კ : TRESGE22 ა/ა: 741027019 გ. შუღლიაშვილი	ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი დაწესებულება №3-ე ბაგა-ბაღი მის.: ქ. გორი, გორგასლის ქ. №6 ს/კ: 218078407 ხ. ილურიძე

მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

ქ. გორი

30 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ შუღლიაშვილის სახით (შემდგომში – გამქირავებელი) და მეორეს მხრივ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი დაწესებულება №3-ე ბაგა-ბაღი (ს/კ: 218078407) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ილურიძის სახით (შემდგომში - დამქირავებელი), ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 09 ივნისის ხელშეკრულების (დარბაზის ქირავნობის შესახებ) მოთხოვნათა შესაბამისად, 2016 წლის 23 ივნისს "გამქირავებელმა" "დამქირავებელს" 12:00 საათიდან 13:00 საათამდე გამოუყო "ცენტრის" მცირე დარბაზი, ხოლო 2016 წლის 30 ივნისს 12:00 საათიდან 13:00 საათამდე დიდ საკონცერტო დარბაზი ბაგა-ბაღის აღსაზრდელების გამოსაშვები კონცერტების ჩასატარებლად. დარაბაზების ქირავნობის ღირებულება შეადგენს – 500 (ხუთასი) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით

გამქირავებელი

დამქირავებელი

ვ. შუღლიაშვილი

ხ. ილურიძე